



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს  
გენერალური დირექტორი



KA990177315360518

№02/11

28 / მარტი / 2018 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტისათვის „ქართულ-  
ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიცია“  
არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების  
შესახებ

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი  
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“  
51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის  
მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის  
გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული  
ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტს - „ქართულ-ებრაული 26 საუკუნოვანი უნიკალური ურთიერთობის ტრადიცია“ .
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში ასახვა.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიეროფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპირის ქუჩა N4).

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე